გენდერული სტერეოტიპებისა და მავნე წეს-ჩვეულებების კვლევა საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში (ბოლნისი, ზუგდიდი, ქედა, ხარაგაული, ხაშური)

2022 წელი

კვლევა განხორციელდა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ სამიზნე მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან თანამშრომლობით, დანიური ორგანიზაცია KVINFO-სა და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. კვლევაში მოყვანილი მოსაზრებები არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების, მოქმედი გენდერული ნორმებისა და მავნე წეს-ჩვეულებების შესწავლა საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში (ბოლნისი, ზუგდიდი, ქედა, ხარაგაული, ხაშური).

კვლევის მონაცემების შეკრება განხორციელდა 2022 წლის ივლისსა და აგვისტოში. კვლევისას გამოყენებულ იქნა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, ჩატარდა გამოკითხვა, სიღრმისეული ინტერვიუები, სამაგიდე კვლევა.

კვლევის ექსპერტი: ლელა ხომერიკი

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა ჩიქოვანი

კვლევის ძირითადი მიგნებები

<u>მავნე წეს-ჩვეულებები</u>

- **მკვეთრად შემცირებულია, მაგრამ ადრეული/ბავშვის ასაკში ქორწინების ფაქტები მაინც ხდება.** რესპონდენტთა მხოლოდ 9% მიიჩნევს, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკა მათ მუნიციპალიტეტებში კვლავ გავრცელებულია, თუმცა რეპონდენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, კერძოდ 43% მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს ცალკეულ შემთხვევებს. გამოკითხულთა 48% თვლის, რომ მატ მუნიციპალიტეტებში 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების პრაქტიკა არ არის გავრცელებული. სიღრმისეული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ ამ მიმართულებით, წინა წლებთან შედარებით, შესამჩნევია პროგრესი. ადრეული

ქორწინების პრაქტიკის შემცირებას უკავშირებენ შემდეგ ფაქტორებს: გოგონების ცნობიერების გაზრდა ადრეული ქორწინების და ზოგადად, ადამიანის უფლებების მიმართულებით, კანონის გამკაცრება და კანონის აღსრულების სხვადასხვა შემთხვევების გაშუქება მედიის საშუალებით, მშობლების და ზოგადად, საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა შესაბამისი კანონის მოქმედების შესახებ.

- **ოჯახის შექმნის მიზნით გოგონების მოტაცების ტრადიცია წარსულს ბარდება.** რესპონდენტთა 81%-ს მიაჩნია, რომ ოჯახის შექმნის მიზნით, გოგონების მოტაცება აღარ ხდება და ბოლო 3 წლის მანძილზე მსგავსი ფაქტების შესახებ არ სმენიათ. რესპონდენტთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ცალკეულ შემთხვევებს იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი, მაგრამ არ ხმაურდება. თუმცა, ყველა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ოჯახის შექმნის ეს მავნე პრაქტიკა დღეს აღარ არის გავრცელებული.

- **წინა წლებთან შედარებით, ნაკლებად, მაგრამ კვლავ გვხვდება მშობლების მიერ შერჩეულ პირზე, გოგონების, მშობლების ნებით დაქორწინების პრაქტიკა.** კერძოდ, რესპონდენტთა 13% მიიჩნევს, რომ მათ მუნიციპალიტეტში მსგავსი პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია, 39%-ის აზრით კი, ხდება ასეთი ცალკეული შემთხვევები.

- **კვლავ მყარია ოჯახების განსხვავებული დამოკიდებულება გოგონასა და ვაჟის დაბადების მიმართ, ვაჟის დაბადებას კვლავ მეტი უპირატესობა ენიჭება.** რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) მიიჩნევს, რომ მათ მუნიციპალიტეტებში ოჯახები ვაჟის დაბადებას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო გამოკითხულთა 46% თვლის, რომ ოჯახები ვაჟისა და გოგონას დაბადებას თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებენ.

- **მყარია სტერეოტიპი, რომ გათხოვების შემდეგ ქალმა ბავშვი მალევე, სასურველია, პირველივე წელს, უნდა გააჩინოს.** რეპონდენტთა ურმავლესობა, კერძოდ 65% მიიჩნევს, რომ სასურველია, ქალმა ბავშვი დაქორწინებიდან 1-2 წლის მანძილზე გააჩინოს. მხოლოდ 35% თვლის, რომ ბავშვის გაჩენა, მაშინ არის სასურველი, როდესაც ქალი თვითონ გადაწყვეტს. სიღრმისეული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ახლად დაქორწინებულ ქალებზე, საკმაოდ მაღალია ვაჟის ოჯახის ზეწოლა ამ თვალსაზრისით. საზოგადოებაც ამ სახის მოლოდინს აქტიურად გამოხატავს.

- **კვლავ მყარად მოქმედებს სტერეოტიპი, რომ მშობლების უძრავი ქონების მემკვიდრეს მხოლოდ ვაჟი წარმოადგენს.** ხუთ სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა დაახლოებით 70% ფიქრობს, რომ მიწა, საცხოვრებელი სახლი და სხვა უძრავი ქონება მემკვიდრეობით მხოლოდ ვაჟებს ან უმეტესწილად ვაჟებს გადაეცემათ. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი (30%) თვლის, რომ

მიწა როგორც ვაჟებს, ისე ქალებსაც გადაეცემათ. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რესპონდენტთა 54% მიიჩნევს, რომ ქალიშვილებს მშობლების კუთვნილებაში არსებული მიწა ან საცხოვრებელი სახლი იმ შემთხვევაში გადაეცემათ, თუ ოჯახს ვაჟი არ ჰყავს.

<u>დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ</u>

- **გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის მიუღებელია ქალის მიმართ ფიზიკური ძალადობა.** რესპონდენტთა 94% ფიქრობს, რომ იშვიათ შემთხვევაშიც კი, დაუშვებელია ქმარმა ფიზიკურ ძალადობას მიმართოს. თუმცა, გამოკითხულთა გარკვეულ რიცხვს, კერძოდ, 6%-ს მაიჩნია, რომ იშვიათ შემთხვევაში ქმარი შეიძლება ფიზიკურად გაუსწორდეს ცოლს.

- რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებებს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ქალმა არ უნდა მოითმინოს ძალადობა (86%) და გაშორდეს ქმარს, თუმცა ამავდროულად, გამოკითხულთა 12% ფიქრობს, რომ მოძალადე ქმართან მცხოვრები ქალებისათვის ურთიერთობის ამგვარი ტიპი მისაღებია. ასევე, გამოკითხულთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, კერძოდ 46% ეთანხმება დებულებას, რომ ქალი უნდა „შეეცადოს ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც ქმარი სთხოვს, რათა არ გამოიწვიოს ძალადობის შემდგომი შემთხვევები“. დებულებას „უთანხმოების შემთხვევაში ქმრის აზრი უნდა იყოს გადამწყვეტი“ ეთანხმება რესპონდენტთა 36%.

- **გამოკითხულთა დიდი ნაწილი (75%) მიიჩნევს, რომ ძალადობის შემთხვევაში ქალმა სამართალდამცველებს უნდა მიმართოს.** აღსანიშნავია, რომ დაახლობით იმდენივე პროცენტი (77%) ეთანხმება დებულებას რომ მსხვერპლმა „დახმარება უნდა სთხოვოს მშობლებსა და ნათესავებს სიტუაციის რეგულირებისათვის“. ძალადობის პრობლემის ოჯახის ფარგლებშივე მოგვარების ტრადიციული მოდელის პარალელურად, სამართალდამცავებისათვის მიმართვის გზის თანაბრად აღიარება, საზოგადოებრივ ცნობიერებაში მომხადარ გარკვეულ ცვლილებებზე მიანიშნებს. სიღმისეულ ინტერვიუებშიც გამოიკვეთა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, სამართალდამცავებისათვის მიმართვა გაზრდილია. ინტერვიუერები ამის მიზეზად მიიჩნევენ, ძალადობის პრობლემაზე მეტი ინფორმაციის არსებობას, ასევე, აღნიშნავენ, მათ მუნიციპალიტეტებში პოლიციის საკმაოდ ეფექტურ რეაგირებას ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე.

- **სხვადასხვა ინსტიტუციების საქმიანობას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ეფექტურად გამოკითხულთა ნახევარი მიიჩნევს.**

კერძოდ, პოლიციის საქმიანობა ოჯახში ძალადობის სფეროში ეფექტურად მიიჩნია გამოკითხულთა 51%-მა, სოციალური სამსახურის საქმიანობა 54%-მა, ქალთა კრიზისული ცენტრების 53%-მა, სასამართოს საქმიანობა 38%-მა.

- **ხუთივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა საკამაოდ დიდი რიცხვი, კერძოდ, დაახლოებით მესამედი პასუხობს, რომ არ იცის პოლიციის ჩართულობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ეფექტურია თუ არა.** ხარაგაულში გამოკითხულთა შორის, ასეთი რეპონდენტების რიცხვი 40%-ზე მეტს შეადგენდა, ქედაში კი ნახევარზე მეტს.

- **დაბალია, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სფეროში მუნიციპალიტეტების საქმიანობის ეფექტურობის შეფასება.** კერძოდ, მხოლოდ გამოკითხულთა 21%-მა მიიჩნია, ამ სფეროში მუნიციპალიტეტების საქმიანობა ეფექტურია. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი, 46% კი აღნიშნავს, რომ არ იცნობს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სფეროში.

<u>საოჯახო ურთიერთობები და სტერეოტიპები შრომის გენდერული განაწილების შესახებ</u>

- **დეკლარაციულად რესპონდენტთა უმრავლესობა ოჯახის თანამედროვე სიმეტრიული მოდელის მომხრეა.** რესპონდენტთა 82% ეთანხმება დებულებას, რომ „უმჯობესია, ქალიცა და კაციც გამოიმუშავებდეს ფულს, და ქალიცა და კაციც უვლიდეს ოჯახს“. ქალსა და კაცს შორის შრომის ტრადიციული განაწილების მომხრეა, მხოლოდ 18%, მათ მიაჩნიათ, რომ უმჯობესია, ქალი ოჯახს უვლიდეს, ხოლო კაცი ფულს გამოიმუშავებდეს.

- **სტერეოტიპი, რომ საოჯახო საქმეების შესრულება ქალის პასუხისმგებლობაა კვლავ მყარია.** მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა, კერძოდ 82% ოჯახის სიმეტრიული მოდელის მომხრე იყო და ეთანხმებოდა დებულებას, „ქალიცა და კაციც უნდა გამოიმუშავებდეს ფულს, ქალიცა და კაციც უნდა უვლიდეს ოჯახს“, პასუხებით, უფრო დეტალურ კითხვაზე თუ ვინ უნდა ასრულებდეს კონკრეტული რეპორდუქტიული შრომის სახეებს, შემდეგი სურათი გამოიკვეთა: სახლი უმეტესწილად ქალმა უნდა დაალაგოს, ასე მიიჩნია რესპონდენტების 72%-მა, საჭმელი უმეტესწილად ქალმა უნდა გააკეთოს, ასე თვლის გამოკითხულთა 64%, ხოლო 83%-ის აზრით, სარეცხი, უმეტესწილად ქალმა უნდა გარეცხოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი რესპონდენტი არ დაეთანხმა დებულებას, რომ ჩამოთვლილი საქმიანობები უმეტესწილად კაცმა

  უნდა შეასრულოს. შედარებით, განსხვავებულია რესპოდენტთა გადანაწილება ზოგადი ფორმულირების შემთხვევაში: „ვინ უნდა მოუაროს ბავშვებს“.

გამოკითხულთა შედარებით ნაკლები რაოდენობა, კერძოდ 44% თვლის, რომ ბავშვებს უმეტესწილად დედამ უნდა მოუაროს, ხოლო 66% მიიჩნევს, რომ ბავშვებს დედამ და მამამ თანაბრად უნდა მოუაროს.

- სიღრმისეულ ინტერვიუებშიც გამოჩნდა, რომ ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმეების განაწილებისას შეიმჩნევა გარკვეული ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ზოგი რეპოდუქტიული საქმიანობა კაცისათვის უფრო მისაღებია, ზოგიც ნაკლებად მისაღები. სახლის საქმეებიდან კაცისათვის უფრო მისაღებად გამოიკვეთა; ბაზარსა და მარკეტში წასვლა და პროდუქტების მოტანა, ბავშვის ბაღში წაყვანა, თავისუფალ დროს ბავშვის გასეირნება, გარკვეულ შემთხვევებში, საჭმლის მომზადება. კაცისათვის ნაკლებად მისაღებ საქმიანობებად გამოიკვეთა სახლის დალაგება და სარეცხვის გარეცხვა.

- **რეალურად ზრუნვის შრომის უმეტესი ტვირთი ქალს აწევს მხრებზე.** გამოკითხვა აჩვენებს, რომ საოჯახო საქმეების უდიდეს ნაწილს ქალები ასრულებენ. კითხვაზე: თქვენს გარშემო, რეალურად ვინ ასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებს? შემდეგი პასუხები მივიღეთ: სახლს უმეტესწილად ქალები ალაგებენ (89%), საჭმელს უმეტესწილად ქალები აკეთებენ (86%) სარეცხს ქალები რეცხავენ (95%), ბავშვებს უმეტესწილად ქალები უვლიან (69%).

- **როდესაც ქალი შრომით მიგრაციაშია, კაცები მაშინაც კი, არ იღებენ ბავშვებზე ძირითადი მზრუნველის პასუხისმგებლობას და ამ მოვალეობას ბავშვების ბებია ან დეიდა/მამიდა ასრულებს.**

<u>გენდერული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების შესახებ</u>

- **ქალისა და კაცის ქცევის შეფასება განსხვავებული სტანდარტებით ხდება, რაც კაცისათვის მისაღებია, ქალისათვის დაუშვებელ საქციელად აღიქმება.** გამოკითხულთა 41% თვლის, რომ ქორწინებამდე სექსუალური კავშირი ვაჟისათვის დასაშვებია, მხოლოდ 7% თვლის, რომ ქორწინებამდე სექსუალური კავშირის ქონა, დასაშვებია, როგორც ქალისათვის, ისე კაცისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 52% თვლის, რომ ქორწინებამდე სექსუალური გამოცდილების ქონა არცერთი სქესისთვის არ არის დასაშვები.

- **ძლიერია სტერეოტიპი, რომ სასიყვარულო ურთიერთობებში ვაჟი უნდა იყოს უფრო აქტიური.** სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას, კერძოდ, 68%-ს მიაჩნია, რომ სიყვარული კაცმა უნდა აუხსნას ქალს, მხოლოდ 2% მიიჩნია, რომ სიყვარული ქალმა უნდა აუხსნას კაცს, დაახლოებით

მესამედი თვლის, რომ გრძნობების გამომჟღავნების შემთხვევაში სქესს მნიშვნელობა არა აქვს.

<u>ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და გენდერული სტერეოტიპები</u>

- **გამოკითხულთა დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისადმი საკმაოდ პოზიტიურია.** ტრადიციულად, პოლიტიკაში ქალთა დაბალი მონაწილეობის ერთ-ერთ მიზეზად ქალი კანდიდატებისადმი ამომრჩევლების ნდობის ნაკლებობა სახელდება. თუმცა, სხვა კვლევებიც აჩვენებს, რომ საქართველოში დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური აქტივობისადმი არ არის ნეგატიური. ჩვენი კვლევის **რესპონდენტთა უმრავლესობა (67%) ფიქრობს, რომ ქალსა და კაცს თანაბარი უნარები აქვთ, გახდნენ კარგი პოლიტიკოსები.**

- **რესპონდენტთა უმრავლესობას (79%-ს) მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, თუ მათ მუნიციპალიტეტში საკრებულოში ქალთა რაოდენობა გაიზრდება.** რესპონდენტთა მხოლოდ 21%-ს მაიჩნია, რომ საკრებულოში ქალთა არსებული რაოდენობა საკმარისია.

- **ხუთ სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობა, არ არის წინააღმდეგი, რომ მუნიციპალიტეტის მერის პოსტზე ქალი იხილოს.** რესპონდენტთა 63%-ს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტის მერის პოზიციაზე ქალი და კაცი თანაბრად მისაღებია, ხოლო 17% მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტისთვის ქალი მერი სჯობს. რესპონდენტთა მხოლოდ 20% მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტისათვის კაცი მერი იქნება უმჯობესი.

The research of gender stereotypes and harmful customs in the 5 municipalities of Georgia

(Bolnisi, Zugdidi, Qeda, Kharagauli, Khashuri)

2022 Year

Research was initiated by the women's information center targeting certain municipalities, cooperating with the Danish organisation KVINFO, with the support of the danish ministry of Foreign affairs. The opinions expressed in the study do not reflect the official position of the donor organization.
The aim of the research was to study gender stereotypes, current gender norms, and harmful practices in five municipalities of Georgia (Bolnisi, Zugdidi, Keda, Kharagauli, Khachuri).
Data collection for the research was conducted in July and August of 2022. Various quantitative and qualitative methods were used during the research, including surveys, in-depth interviews, and focus group discussions.

Key findings of the study

Harmful customs

- The problem is still prevalent, even though instances of child marriages have decreased significantly. Only 9% of the respondents believe that the practice of child marriage still persists in their municipalities, but a significant proportion of respondents, 43%, believe that only individual cases exist in their municipalities. 48% of respondents believe that the practice of child marriage is not prevalent among persons under the age of 18 in their municipalities. In-depth interviews indicate progress in comparison to previous years, with a decrease in the practice of child marriage. Factors that contribute to the decrease in the practice of child marriage include an increase of awareness in girls on early marriage and generally on human rights; as well as strengthening of law and media coverage of different instances of law enforcement, awareness raising of parents and provision of information to the general public on the implementation of the law.

- The tradition of marriage by abduction of girls for the creation of a family has disappeared. 81% of respondents believe that the goal of creating a family no longer motivates girls, and they have not heard similar facts for the last 3 years. A small percentage of respondents believe that there are still certain cases where this practice exists, but it is not widespread. However, all respondents agree that this practice is no longer common today.

- The practice of girls being married to individuals chosen by their parents still happens, although less frequently now than in previous years. 13% admit that such a behaviour is rather widespread in their municipality. 39% of respondents think that it still happens under special circumstances.

- It is apparent that the difference of attitudes depending on the gender of the newborn children varies greatly, with male children being more desirable by the families. According to the respondents, 54% of them believe that families in municipalities give more priority to the birth of a male, while 46% believe that both male and female infants are equally valued.

- There is a solid stereotype that it is preferable for a woman to become pregnant within a year of marriage. 65% of those surveyed said it was preferable for a woman to give birth to a child between 1-2 years following marriage. Surprisingly, only 35% of respondents agree that women should have children when they feel ready. According to interviews, newlywed women are under a lot of pressure to have children with the husband's family. In society, this expectation is strongly encouraged.

- The stereotype of only boys inheriting parental property still persists. About 70% of those surveyed in five municipalities believe that land, residential property, and other inherited assets should only be given to sons or to the eldest son. However, it should be noted that 30% of the respondents believe that girls should also inherit, just like boys. But here, it should be pointed out that 54% of the respondents think that only in the case of there not being a male-born son to inherit the property, the land or residential property should be given to the daughter(s) or to the family member who needs it the most.

Attitudes toward domestic violence

- For those with the highest absolute majority, the physical strength of a woman is not acceptable. 94% of the respondents believe that even in exceptional cases, it is unacceptable for a man to resort to physical force. However, 6% of the respondents indicate that in certain situations, it may be acceptable for a man to use physical force against his wife.

- The majority of respondents (86%) agree that in situations of physical strength, a woman should not tolerate physical abuse and should separate from the partner, but at the same time, 12% of those surveyed believe that the option of cohabitation with the violent partner is acceptable for some women. Also, a significant number of respondents, namely 46%, agree with the statement that a woman should "try to do everything as the husband wants, to avoid provoking violence from the husband" Only 36% of respondents agree that "the decision of the victim should be respected in cases of refusal to comply with the partner's will."

- The majority of respondents (75%) indicate that in cases of violence, women should turn to law enforcement officials. It is noteworthy that almost the same percentage (77%) agrees with the statement that "relatives and neighbours should ask for help to regulate the situation" in case of domestic violence. Parallel to the traditional model of dealing with the problem of violence in the family, interviews indicate an increasing trend towards referring to law enforcement officials. It indicates significant changes in public awareness about this issue. Interviews show that in situations of violence, there is an increased tendency for women to turn to law enforcement officials. Respondents cite a variety of reasons for this trend, including increased confidence in law enforcement officials.

- The effectiveness of the activities of various institutions towards women and family empowerment in different situations is reflected in the views of respondents. Specifically, the police are considered effective in the sphere of family empowerment by 51% of the respondents, social services by 54%, crisis centres for women by 53%, and the judiciary by 38%.

- About three fifths of respondents in the municipality with five objectives were surveyed, which is a sizable sample size. Specifically, just under two thirds of them said they were unsure about the effectiveness of the police's engagement in preserving community security. Almost 40% of those surveyed in Kharagauli and more than 50% in Qeda were among these responders.

- The evaluation of the effectiveness of municipal activities in the sphere of women's and family's empowerment is low. Only 21% of respondents are satisfied with this sphere's efficiency, indicating that municipal activities are effective. Almost half of the respondents, approximately 46%, are unsure about the effectiveness of the municipality's activities in the sphere of women's and family's empowerment.

Family relations and stereotypes of gender division of labour

- The symmetrical model is desirable. 82% of the respondents agree with the statement that "it is preferable for both women and men to earn money and for both women and men to support the family." The traditional division of labour between men and women in employment is only accepted by 18% of them, who believe that it is preferable for women to support the family, while men earn money

- A stereotype that the fulfilment of household duties is a woman's responsibility is still prevalent. Despite the fact that the majority of respondents, namely 82%, agreed with the symmetrical model of the family, which implies that both men and women should work and contribute to the household income, when asked in more detail, they endorsed the belief that 'both men and women should work for money, and both men and women should support the

family.' In response to more specific questions about who should carry out certain reduced tasks, the following image emerged: the majority of respondents, 72%, believe that it is primarily a woman's responsibility to organise the house, while 64% believe that it is primarily a woman's responsibility to prepare food, and 83% believe that a woman should take care of the children.It should be noted here that none of the respondents agreed to the statement that a man should carry out professional activities more than a woman. The distribution of responses is different in cases of a general formulation: 'Who should take care of children?' According to the comparison, fewer respondents, namely 44%, think that a mother should take care of children more, while 66% believe that both the mother and father should take care of children together.

- In family activities, there is a certain tendency that is evident in various interviews, that some reproductive work is more acceptable to men than to women. Some forms of housework are more acceptable to men due to this tendency. Men tend to participate more in household activities; they go to the market and bring products, take children to the kindergarten, spend more free time with children, and prepare meals in certain situations. Men don't tend to do house work such as arranging the house and cleaning.

- The most significant burden of real hard work falls on women. The question shows that women perform the majority of household tasks. In response to the question "who completes the following duties?" The following answers were received: women do the majority of cleaning at home (89%), women do the majority of cooking (86%), women do the majority of laundry (95%), and women are the primary caregivers for children (69%).

- When a woman is working abroad, men still do not take the main responsibility for childcare and this task is mostly performed by aunts from the mothers or fathers side.

<u>Gender stereotypes about the relationship between men and women</u>

- The behaviour of men and women is evaluated by different gender standards
  which allows for men to get away with behaviour that is not acceptable for women. According to a study, 41% of respondents believe that sexual intercourse before marriage is acceptable for men, while only 7% think it is acceptable for women. It should be noted that 52% of respondents believe that sexual experience before marriage is not acceptable for either gender.

- It is a strong stereotype that boys should be more active in romantic relationships. In most municipalities, approximately 68% of those surveyed believe that men should be the ones to confess their love, however only 2% believe that women should confess their love to men.

Additionally, about s third of respondents thought that the significance of gender in terms of initiating relationships is not important.

Women's political participation and gender stereotypes

- The involvement of women in politics is considered to be quite positive for their growth. Traditionally, low female participation in politics has been one of the main reasons for the low representation of women as candidates and elected officials. However, other studies also show that women's involvement in political activity in Georgia is not negative. Our survey respondents (67%) believe that men and women have equal opportunities and can become good politicians.

- 79% of the respondents believe that there will be an increase in the number of women in the municipality's council, and it will be better if they are the majority. Only 21% of the respondents believe that the current number of women in the council is sufficient.

- In five municipalities, the majority of respondents are not against having a woman to be in the mayor's position. 63% of respondents say that men and women are equally accepted to be mayor in their municipalities, 17% of respondents say that a female mayor would be better, while 20% say that a male would be a better mayor.

კვლევის შედეგების ანალიზი

<u>გენდერულად დისკრიმინაციული, მავნე წეს-ჩვეულებები</u>

ადრეული / ბავშვობის ასაკში ქორწინება

ხუთი სამიზნე მუნიციპალიტეტის მონაცემების ჯამური შედეგის მიხედვით, 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების ფაქტები შემცირებულია, მაგრამ ცალკეული შემთხვევები მაინც ხდება. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (48%) თვლის, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკა არ არის გავრცელებული. რესპონდენტთა მხოლოდ 9% მიიჩნევს, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკა მათ მუნიციპალიტეტებში კვლავ საკმაოდაა გავრცელებული, თუმცა რეპონდენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, კერძოდ 43% თვლის, რომ ადგილი აქვს ცალკეულ შემთხვევებს.

იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც თვლის, რომ 18 წლამდე პირთა ქორწინება, მათ მუნიციპალიტეტში საკმაოდ გავრცელებულია, სამიზნე მუნიციპალიტეტების მიხედვით 2%-დან 13%-მდე მერყეობს. კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 2%-მა, ქედაში 6%-მა, ზუგდიდის, ბოლნისისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში კი გამოკითხულთა თანაბარმა რაოდენობამ (12-13%) მიიჩნია, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკა კვლავ საკმაოდ გავრცელებულია.



ქედაში გამოკითხულთა 15% თვლის, რომ ხდება ადრეული ქორწინების ცალკეული შემთხვევები, ხარაგაულში ასე თვლის, გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (31%), ბოლნისსა და ხაშურში რეპონდენტთა ნახევარი (51%-52%), ხოლო ზუგდიდში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა, კერძოდ, კი 75%.

სიღრმისეული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ წინა წლებთან შედარებით, ადრეული/ბავშვთა ასაკში ქორწინების რიცხვი შემცირებულია. ადრეული ქორწინების პრაქტიკის შესუსტებას უკავშირებენ შემდეგ ფაქტორებს: გოგონების ცნობიერების გაზრდა ადრეული ქორწინების და ზოგადად, ადამიანის უფლებების მიმართულებით, კანონის გამკაცრება და კანონის აღსრულების სხვადასხვა შემთხვევების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მშობლების და ზოგადად, საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა შესაბამისი კანონის მოქმედების შესახებ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით კიკნაძე, კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სიღმისეულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ბავშვთა ქორწინება ანუ 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება 10-15 წლის წინ მეტად იყო გავრცელებული. დავით კიკნაძის აზრით, ამ საზიანო პრაქტიკის შემცირების „ერთ-ერთ მთავარი მიზეზი არის, ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების სფეროში. ბოლო ათი წლის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში, გნებავთ მოსწავლეებში, გნებავთ ქალთა შორის, ცნობიერება გაზრდილია ძალიან. 2005-2007 წლებში ვიყავი, მეურვეობის, მზრუნველობის ორგანოს თავმჯდომარე ადგილზე და მახსოვს მაშინდელი დამოკიდებულებები ამ საკითხებისადმი. სულ რაღაც 15 წლის წინანდელი და ვთქვათ, დღევანდელი დამოკიდებულება აბსოლუტურად განსხვავებულია.“

მავნე პრაქტიკების აღმოფხვრისათვის, კანონის აღსრულებისა და ცნობიერების გაზრდის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი თავის ინტერვიუში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა: „სტერეოტიპულ აზროვნებას ორი რამ დაამსხვრევს: განათლება და კანონი... ახალი თაობა წამოვიდა საკმაოდ განათლებული და ისინი უკვე თავის უფლებებს კარგად გრძნობენ“.

გოგი რევია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - ზუგდიდის მერიის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი, ინტერვიუში აღნიშნავს: „ბოლო პერიოდში, კი არის, როგორ არა, ადრეული ქორწინების შემთხვევები, მაგრამ, მათი რიცხვი ბევრად ნაკლებია... საზოგადოებამ იცის, რომ სრულწლოვანის დაქორწინება არასრულწლოვანზე დასჯადია. სამი წლის წინ, იყო ჩვენს მუნიციპალიტეტში შემთხვევა, სრულწლოვანი დაქორწინდა არასრულწოვან გოგონაზე და მას შეექმნა კანონთან პრობლემა, მიუსაჯეს კიდევაც“.

კანონის აღსრულებასთან ერთად, ცნობიერების გაზრდის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, ფერიდე ტვილდიანი, ბოლნისის საკრებულოს წევრი, გენდერული თანასწორობის საბჭოს

მდივანი: „კანონის აღსრულებამ, მაგალითებმა იმისა, რომ ისჯებიან ამის გამო, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. თუმცა, ჩემი პირადი მოსაზრებაა და აქვე დავამატებ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ცნობიერება გაიზარდა. მაგალითად, ჩვენს მუნიციპალიტეტში, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ძალიან კარგად ფლობენ უკვე ქართულ ენას. ცდილობენ რომ აქტიური მოქალაქეები იყვნენ და აქტიურად ჩაერთონ პროცესებში. თვითონ ახალგაზრდებმა ისწავლეს საკუთარი უფლებები. უფრო ამან შეამცირა ეს ყველაფერი. დიახ, გოგონებმა საკუთარი უფლებების დაცვა ისწავლეს. თუ თვითონ ვერ ართმევენ თავს, ცდილობენ ანონიმურად ან პედაგოგს დაუკავშირდნენ ან რაღაც გამოსავალი იპოვონ, იმისთვის რომ ეს იძულებითი ქორწინება აირიდონ თავიდან“.

თეა შარაშიძე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ქედის მუნიციპალიტეტში, ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ადრეული/ბავშვთა ასაკის პირთა ქორწინება ქედის მუნიციპალიტეტში პრაქტიკულად აღარ გვხვდება და 2021 წელს მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც სხვა ქალაქში მცხოვრები არასრულწლოვან გოგონა გათხოვდა ქედაში. თეა შარაშიძე მიიჩნევს, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკის შესუსტების უმთავრესი მიზეზი გოგონებისა და მშობლების გაზრდილი ცნობიერებაა. ქედის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო ოგანიზაციების მიერ საკმაოდ დიდი სამუშაო განხორციელდა ცნობიერების გაზრდის მიმართულებით, მუნიციპალიტეტიც ყოველწლიურად, ყველა სკოლაში ახორციელებს ადრეული ქორწინების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა გოგონების ცოდნა საკუთარი უფლებებისა და განათლების გაგრძელების მნიშვნელობის შესახებ. „დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები რომ ვნახოთ, გაცილებით მეტი გოგონა აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში“- აღნიშნავს თეა შარაშიძე.

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ სრულყოფილი სტატისტიკა მუნიციპალიტეტებს არა აქვთ. 18 წლამდე პირის ქორწინების რეგისტრირება არ ხდება და არსებული შემთხვევები არ ხმაურდება.

სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ როდესაც არასრულწლოვანი გოგონა ხდება დედა, ბავშვს დედის გვარს ანიჭებენ, რათა მამა ფორმალურად არ გამოჩნდეს, კანონთან პრობლემები რომ არ შეექმნას.

ეკატერინე ქაჯაია, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი აღნიშნავს: „იმიტომ ხდება, დედის გვარზე ბავშვის გამოყვანა, რომ ქმარი სრულწლოვანია, დედა 18 წლამდე ასაკისაა და სამართლებრივი საკითხი დგება. მამის გრაფა არ ივსება, სამართლებრივი პასუხისმგებლობის აცილება რომ მოხდეს“.

ია კვიტია, ზუგდიდიდს მუნიციპალიტეტიდან, ინტერვიუეში აღნიშნავს: „მე ძალიან ბევრი ვიცი, აფხაზეთიდან ვინც არიან, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან და ბევრი

ბავშვი არის დედის გვარით... ბევრი შემთხვევა აფხაზეთიდან არის, ძალიან ბევრია დედა, რომელსაც თავის გვარით გაჰყავს შვილი სამშობიაროდან და მეუღლე ვერ გამოჩნდება“.

<u>კვლევის შედეგების შედარება ეროვნული დონის მონაცემებთან</u>

ინტერვიუებში, არა ერთმა რეპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ მუნიციპალიტეტებში, არის ბავშვის ასაკში ქორწინების ცალკეული შემთხვევები, თუმცა ბოლო წლებში მათი რიცხვი საგრძლობლად შემცირებულია.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ტენდენცია, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადრეული/ბავშვთა ასაკში ქორწინებების რიცხვი კლებულობს, ეთანადება ეროვნული დონის მონაცემებს. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, მოზარდების შობადობის კოეფიციენტი წლების მიხედვით კლებადია. ასევე, 20 წლამდე დედების რიცხვის 2021 წლის მაჩვენებელი ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. შეგვიძლია, ამ მონაცემებით ვივარაუდოთ, რომ ადრეული/ბავშვთა ასაკში ქორწინებების რიცხვი მცირდება.

18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების შესახებ სტატისტიკის ქონა პრობლემურია, როგორც მუნიციპალურ, ისე ეროვნულ დონეზე. რადგანაც ადრეული ქორწინების რეგისტრირება არ ხდება, და ვერ გვექნება პირდაპირი ოფიციალური მონაცემი 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების შესახებ, მნიშვნელოვანია, ადრეული/ბავშვთა ასაკში ქორწინების მასშტაბებზე მსჯელობისას, გამოვიყენოთ, საქსტატის ისეთი მონაცემები, როგორცაა ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დედის ასაკის მიხედვით და მოზარდების შობადობის კოეფიციენტი.

საქსტატის მონაცემებში „ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის შესახებ დედის ასაკის მიხედვით“[1], ადრეულ დედობაზე გვაქვს ერთიანი მონაცემი 20 წელზე ნაკლები ასაკის დედებზე. მაგალითად, 2020 წელს 20 წლამდე ასაკში დედა გახდა 2628 გოგონა, ხოლო 2021 წელს კი 2392. ამ სახით წარმოდგენილი მონაცემი არ იძლევა იმის შესაძლებლობას დავადგინოთ, მოცემულ წელს კერძოდ, რამდენი 16 ან 17 წლის ასაკის გოგონა გახდა დედა.

[1] ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დედის ასაკის მიხედვით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba



მოზარდობის შობადობის კოეფიციენტის შემთხვევაშიც, ვხედავთ, რომ ასაკობრივი ჯგუფი განსაზღვრულია 15-19 წლით, რაც ასევე არ იძლევა შესაძლებლობას, გამოვაცალკევოთ მონაცემები 18 წლამდე პირებისათვის.



წყარო: საქსტატი, მოზარდობის შობადობის კოეფიციენტი, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba

მონაცემთა ამ სახით წარმოდგენის პრობლემტურობას ადრეული ქორწინების შესახებ 2017 წელს ჩატარებული კვლევის ანგარიშშიც[2] გაესვა ხაზი. აღინიშნა, რომ მონაცემები ისეა მოცემული, რომ მოიცავს 18 და 19 წლის ახალგაზრდებსაც, რაც ძალზე ართულებს მონაცემთა სეგრეგირებას და მათში 17 წლის და უფრო დაბალი ასაკის ახალგაზრდების გამორჩევას, რომლებიც სამართლებრივი ნორმის მიხედვით არასრულწლოვნებად ითვლებიან.

რეკომენდაცია: საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, საქსტატის მიერ, დედის ასაკის მიხედვით ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის შესახებ მონაცემების წარმოდგენისას, 20

[2] ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის პრაქტიკა, კვლევის ანგარიში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის, შვედეთის მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით, თბილისი, 2017. გვ. 20.

წლამდე ასაკის დედათა ჯგუფის მონაცემები წარმოდგენილი იყოს ცალკე დიაგრამით, რომელზედაც მონაცემები ჩაშლილი იქნება დედის კონკრეტული ასაკის მიხედვით. რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ, 16 წლამდე ასაკის, 17 წლის თუ 18 წლის, რამდენი გოგონა გახდა დედა. ამ სახის დიაგრამა მოგვცემს სრულ სურათს ადრეული/ბავშვთა ასაკში დედობის შესახებ. სასურველია, ჩაშლილი სახით იყოს წარმოდგენილი მოზარდობის შობადობის კოეფიციენტიც.

კარგი იქნება, თუ აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტების მიხედვით, რაც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტებს უკეთ გაიაზრონ პრობლემა, შეადარონ საკუთარი მონაცემები ეროვნულ და სხვა მუნიციპალიტეტების მონაცემებს.

<u>გოგონას მოტაცება ოჯახის შექმნის მიზნით</u>

იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც თვლის, რომ მათ მუნიციპალიტეტში გოგონას მოტაცება ოჯახის შექმნის მიზნით, არ არის გავრცელებული, საკმაოდ მაღალია, და სამიზნე მუნიციპალიტეტების მიხედვით 72%-დან 98%-მდე მერყეობს. კერძოდ, ბოლნისის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 72%-მა, ზუგდიდში 75%-მა, ქედაში 79%-მა, ხარაგაულში 84%, ხაშურის მუნიციპალიტეტში კი გამოკითხულთა 98%-მა მიიჩნია, რომ გოგონას მოტაცება ოჯახის შექმნის მიზნით, მათ მუნიციპალიტეტში არ არის გავრცელებული.

ხაშურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა მხოლოდ 2% ფიქრობს, რომ ხდება მოტაცების ცალკეული შემთხვევები, ხარაგაულში ასე თვლის, გამოკითხულთა 16%, ქედაში 21%, ზუგდიდში გამოკითხულთა მეოთხედი (25%), ხოლო ბოლნისში 28%.



სიღმისეულ ინტერვიუებშიც იკვეთება, რომ ოჯახის შექმნის მიზნით გოგონას მოტაცების პრაქტიკა წარსულს ბარდება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში არ სმენიათ მსგავსი ფაქტების შესახებ.

<u>**მშობლების ნებით ქორწინება**</u>

სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულ რეპონდენტთა 48% თვლის, რომ მშობლების შერჩეულ პირზე გოგონების დაქორწინების პრაქტიკა მათ მუნიციპალიტეტში არ არის გავრცელებული, თუმცა 13%-ს მიაჩნია, რომ მშობლების მიერ შერჩეულ პირზე გოგონების მშობლების ნებით დაქორწინება კვლავ საკმაოდაა გავრცელებული, ხოლო რესპონდენტთა 39% ფიქრობს, რომ ხდება ცალკეული შემთხვევები.

იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც თვლის, რომ მშობლების ნებით ქორწინება, მათ მუნიციპალიტეტში საკმაოდ გავრცელებულია, ყველაზე მაღალია ქედის მუნიციპალიტეტში, სადაც გამოკითხულთა 27% მიიჩნევს, რომ ას სახის პრაქტიკა საკმაოდ არის გავრცელებული. ბოლნისში მშობლების ნებით დაქორწინების პრაქტიკას საკმაოდ გავრცელებულად მიიჩნევს 14%, ხოლო ხარაგაულსა და ზუგდიდში გამოკითხულთა თანაბარი რაოდენობა, კერძოდ, 10%. ხაშურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთაგან, არავინ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მშობლების ნებით დაქორწინების პრაქტიკა საკმაოდგავრცელებულია.

ხაშურში გამოკითხულთა მხოლოდ 7% ფიქრობს, რომ ხდება მშობლების ნებით ქორწინების ცალკეული შემთხვევები, ხარაგაულში ასე თვლის, გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (31%), ქედაში 35%, ბოლნისში 43%, ხოლო ზუგდიდში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა, კერძოდ, კი 80%.



დამოკიდებულება გოგონასა და ვაჟის დაბადების მიმართ

რესპონენდენტთა პასუხების სამიზნე მუნიციპალიტეტებში კვლავ მყარია ოჯახების განსხვავებული დამოკიდებულება გოგონასა და ვაჟის დაბადების მიმართ, ვაჟის დაბადებას კვლავ მეტი უპირატესობა ენიჭება. რეპონდენტთა ნახევარზე მეტი (54%) მიიჩნევს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ოჯახები ვაჟის დაბადებას ანიჭებენ უპირატესობას, გამოკითხულთა 46% თვლის, რომ ოჯახები ვაჟისა და გოგონას დაბადებას თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებენ. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთაგან არავინ მიიჩნია, რომ ოჯახები უპირატესობას გოგონას დაბადებას ანიჭებენ.

იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ოჯახები ვაჟის დაბადებას ანიჭებენ უპირატესობას, განსაკუთრებით, მაღალია ხარაგაულისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში და შესაბამსიად შეადგენს 80%-სა და 69%-ს.



ერთ-ერთმა რესპონდენტმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ გოგონას მამაც არის და ვაჟისაც, ორივეს დაბადება ძალიან გაუხარდა, მაგრამ დასძინა: „ბიჭის დაბადება ძალიან გამიხარდა, ალბათ უფრო ძალიან. ამას ვამბობ ღიად, გულწრფელად“.

რესპონდენტმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნა, „როდესაც შვილს ველოდებოდი, მეკითხებოდნენ გოგოა თუ ბიჭი და რომ ვპასუხობდი, გოგოა, ხშირად მეუბნებოდნენ, არაუშავს, მეორე ბიჭი იქნება''.

სიღმისეული ინტერვიუს რესპონდენტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან, ციცო ხუფაცარია აღნიშნავს: „ოჯახები ანიჭებენ უპირატესობას ბიჭებს. კი, გოგო რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ერთი ბიჭი აუცილებელია ოჯახში, გვარის გამაგრძელებელია ესე ვთქვათ და ამიტომ. უპირატესობას უფრო მაინც ბიჭს ანიჭებენ, შეიძლება არ თქვან, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც აქვთ, გულის კუნჭულში მაინც აქვთ, რომ ბიჭია გვარის გამაგრძელებელი“.

კითხვაზე - **თუ ოჯახს ვაჟი უნდა, ხოლო ქალი გოგონაზეა ორსულად, მაშინ რამდენად ხშირად ხდება აბორტის საშუალებით არასასურველი ორსულობის შეწყვეტა** - პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: გამოკითხულთა 6%-ს მიაჩნია, რომ ვაჟის ყოლის სურვილის შემთხვევაში გოგონაზე ორსულობის შეწყვეტა ხშირად ხდება, 20% თვლის, რომ ამ მიზეზით აბორტები იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, 20%-ის აზრით, სელექციური აბორტები არ ხდება, 54% პასუხობს, რომ ამ თემაზე არ საუბრობენ და არ არის ინფორმირებული.



ოჯახის დაგეგმვა

გავინტერესებდა, რამდენადაა სამიზნე მუნიციპალიტეტებში გავრცელებული ოჯახის დაგეგმვის პრაქტიკა. ოჯახის დაგეგმვაში ვგულისხმობთ, ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს: ბავშვის დაბადების დროის შერჩევას, სასურველი რაოდენობის შვილების ყოლას; ორსულობებს შორის ინტერვალების რეგულირებას; არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებას.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში ოჯახის დაგეგმვის პრაქტიკა სუსტია, კვლავ საკმაოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ ქალმა გათხოვებიდან მალევე უნდა გააჩინოს შვილი. კერძოდ, ხუთივე მუნიციოალიტეტში გამოკითხულთა 42% თვლის, რომ სასურველია ქალმა გათხოვებიდან პირველივე წლის განმავლობაში გააჩინოს შვილი, გამოკითხულთა 23% მიიჩნევს, რომ პირველი შვილის გაჩენა სასურველია 2 წლის განმავლობაში, გამოკითხულთა დაახლოებით მესამედს, კერძოდ, 35%-ს მიაჩნია, რომ ქალმა შვილი მაშინ უნდა გააჩინოს, როდესაც თვითონ გადაწყვეტს. ზუგდიდსა და ქედაში განსაკუთრებით მაღალია, იმ რესპონდენტთა რაოდენობა,რომელთაც მიაჩნიათ, რომ გათხოვების შემდეგ ქალმა 1-2 წელში უნდა გააჩინოს შვილი.



რესპონდენტი ხაშურის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ოჯახებში ხშირია, როდესაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლა არა აქვთ დამთავრებული, გარკვეული პერიოდი სხვა გეგმები აქვთ და არ აპირებენ შვილის ყოლას, ოჯახიდან მოთხოვნა არის მაინც. ამას ვერ ვუარვყოფთ. არის ხოლმე საზოგადოებიდანაც კეთილისმსურველების შეკითხვები, რომ რაშია საქმე“.

რესპონდენტი ბოლნისის მუნიციპალტეტიდან მიიჩნევს, რომ „როგორც ახალგაზრდა ქალებზე, არის გათხოვებამდე საზოგადოების მხრიდან, მუდმივი ზეწოლა და უტაქტო კითხვები: გათხოვდი? ჯერ არ გათხოვილხარ? რატომ არ თხოვდები? როდის თხოვდები? ისე ახალგათხოვილ ქალსაც უსვამენ მუდმივად კითხვებს: უკვე ორსულად ხარ? ჯერ კიდევ არ ხარ ორსულად, შვილს როდის აჩენ? როდის უნდა გააჩინო?“.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა, ქედის მუნიციპალიტეტიდან ინტერვიუში საკუთარი გამოცდილება აღწერა: „პირადი მაგალითი რომ განვიხილოთ, მაგალითად, როცა მე დავოჯახდი, მთელი ერთი წელი არ გამიჩენია შვილი, იმიტო რო არ მეწყობოდა ხელი და ეს იყო ნებაყოფლობითი. მთელი საზოგადოება წუხდა, მთელი საზოგადოება კითხულობდა, რატომ, პრობლემა რაშია? ის, რომ ვიღაცამ დაგეგმოს და გააზრებულად, მაგალითად ქორწინებიდან 2 წლის მერე გააჩინოს ბავშვი, ასეთი საზოგადოებაში თითო-ოროლა არის და სიმართლე რომ გითხრათ ახლა იკიდებს ფეხს. როდესაც გათხოვდება გოგონა, აუცილებლად 1-2 თვეში ელოდებიან, რომ აუცილებლად უნდა იყოს ფეხმძიმედ“.

რამდენიმე რესპონდენტთან შეგვხვდა მოსაზრება, რომ როდესაც ახალგაზრდა წყვილს მალევე არ ჰყავს შვილი, საზოგადოება მიიჩნევს, რომ ქალს რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები აქვს.

მემკვიდრეობის გადაცემის ტრადიციული წესი

კვლავ მყარად მოქმედებს სტერეოტიპი, რომ მშობლების უძრავი ქონების მემკვიდრეს მხოლოდ ვაჟი წარმოადგენს. ხუთ სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 70% ფიქრობს, რომ მიწა მემკვიდრეობით მხოლოდ ვაჟებს ან უმეტესწილად ვაჟებს გადაეცემათ. რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი (30%) თვლის, რომ მიწა როგორც ვაჟებს, ისე ქალებსაც გადაეცემათ. დებულებას, მიწა მხოლოდ ან უმეტესწილად ქალებს გადაეცემათ არცერთი რესპონდენტი დაეთანხმა.



გამოკითხულთა 66% ფიქრობს, რომ სახლი და სხვა უძრავი ქონება, მემკვიდრეობით მხოლოდ ვაჟებს ან უმეტესწილად ვაჟებს გადაეცემათ. რესპონდენტთა მესამედი, 33% თვლის, რომ მიწა როგორც ვაჟებს, ისე ქალებსაც გადაეცემათ.



აქვე უნდა ავღნიშნოთ, რესპონდენტთა 54% მიიჩნევს, რომ ქალიშვილებს მშობლების კუთვნილებაში არსებული მიწა ან საცხოვრებელი სახლი იმ შემთხვევაში გადაეცემათ, თუ ოჯახს ვაჟი არ ჰყავს.



სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ ქონების გადაცემის დროს „ძირითადად ბიჭებზე არის აქცენტი გაკეთებული“. აღინიშნა, რომ არის ცალკეული შემთხვევები, როცა მშობლებმა თანაბრად გაანაწილეს ქონება, ან მიწის ნაკვეთი შეიძინეს ქალიშვილებისათვისაც. ეს ძირითადად, ხდება იმ დროს, თუ ოჯახი ეკონომიკურად ძლიერია, ტიპურ შემთხვევაში პრივილეგია ბიჭს ენიჭება. გამოითქვა მოსაზრება, რომ უძრავი ქონების ვაჟზე გადაფორმების დროს დები ერიდებიან ძმისათვის პრეტენზიის წაყენებას.

<u>დამოკიდებულება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისადმი</u>

სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის მიუღებელია ოჯახში ფიზიკური ძალადობა. ბოლნისში გამოკითხულთა 88%, ხაშურში, ზუგდიდში, ქედასა და ხარაგაულში რესპონდენტთა 90%-ზე მეტი ფიქრობს, რომ იშვიათ შემთხვევაშიც კი დაუშვებელია ქმარი ფიზიკურად გაუსწორდეს ცოლს.

დებულებას: „იშვიათ შემთხვევაში დასაშვებია, ქმარი ფიზიკურად გაუსწორდეს ცოლს“, ხარაგაულსა და ზუგდიდში დაეთანხმა გამოკითხულთა მხოლოდ 2%, ქედაში 4%, ხაშურში 7%. ამ დებულებას შედარებით მეტი მომხრე (12%) ჰყავდა ბოლნისში გამოკითხულთა შორის.



სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან 4 მუნიციპალიტეტში, ბოლნისსა, ზუგდიდსა, ხარაგაულსა და ხაშურში გამოკითხულთა 90%-ზე მეტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალისათვის, რომელიც მოძალადე ქმართან ცხოვრობს, მისაღებია ურთიერთობის ასეთი სტილი. განსხვავებული სურათია ქედაში, სადაც რესპონდენტთა 38% მიიჩნევს, რომ იმ ქალებისათვის, ვინც მოძალადე ქმრებთან ცხოვრობს, მისაღებია ამ სახის ურთიერთობა.



სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ 91% მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ქალმა **არ უნდა მოითმინოს ძალადობა.** ბოლნისში გამოკითხულთა 85%, ხაშურში, ზუგდიდში, ქედასა და ხარაგაულში კი რესპონდენტთა 90%-

ზე მეტი ფიქრობს, რომ ქალმა არ უნდა მოითმინოს ძალადობა. ბოლნისსა და ქედაში გამოკითხულთა 10% თვლის, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა, ზუგდიდსა, ხარაგაულსა და ხაშურში ასე ფიქრობს რესპონდენტთა მხოლოდ 5%.



სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა უმრავლესობა (86%) მიიჩნევს, რომ ოჯახში **ძალადობის შემთხვევაში ქალი უნდა გაშორდეს ქმარს.** ბოლნისში გამოკითხულთა 81%, ზუგდიდსა და ქედაში გამოკითხულთა 85%, ხაშურსა და ხარაგაულში კი რესპონდენტთა 90-92% ფიქრობს, რომ ქალი ოჯახში ძალადობის შემთხვევაში უნდა გაშორდეს ქმარს.



მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ქალმა არ უნდა მოითმინოს ძალადობა და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში უნდა გაშორდეს ქმარს, ამავდროულად, საკმაოდ დიდი რაოდენობა, კერძოდ 64% ეთანხმება მოსაზრებას, რომ **„ჭკვიანმა ქალმა უნდა დაუთმოს ქმარს, რომ სიტუაცია არ გაამწვავოს“.** ბოლნისში ასე თვლის, რესპონდენტთა 32%, ხაშურსა და ზუგდიდში გამოკითხულთა 60%-ზე მეტი, ხარაგაულში 79%, ხოლო ქედაში გამოკითხულთა 92%.



ასევე, საკმაოდ დიდი რაოდენობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ **„ქალი უნდა შეეცადოს ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც ქმარი სთხოვს, რათა არ გამოიწვიოს ძალადობის შემდგომი შემთხვევები“.** ხაშურსა და ბოლნისში ასე თვლის, რესპონდენტთა 20-21%, ზუგდიდსა და ხარაგაულში გამოკითხულთა თითქმის ნახევარი 48-49%, ხოლო ქედაში გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ 83%.



გამოკითხულთა მესამედზე მეტი (36%) დაეთანხმა დებულებას: „**უთანხმოების შემთხვევაში ქმრის აზრი უნდა იყოს გადამწყვეტი“.** ამ დებულებას ყველაზე ნაკლები, მომხრე ხაშურში გამოკითხულთა შორის ჰყავს (7%). ბოლნისში ამ დებულებას დაეთანხმა გამოკითხულთა 12%, ზუგდიდში 28%, ხარაგაულში 44%. გამოკითხულთა ყველაზე მეტი რაოდენობა დაეთანხმა ამ მოსაზრებას ქედაში, სადაც გამოკითხულთა 80%-მა მიიჩნია, რომ უთანხმოების შემთხვევაში ქმრის აზრი უნდა იყოს გადამწყვეტი.



უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (75%) ეთანხმება დებულებას: „ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ქალმა სამართალდამცავ ორგანოებს უნდა მიმართოს“. ზუგდიდსა, ბოლნისსა და ქედაში ასე ფიქრობს რესპონდენტთა 60%-ზე მეტი, ხარაგაულში 85%-ზე მეტი, ხოლო ხაშურში გამოკითხულთა 95%.



ბოლნისის საკრებულოს წევრი, ფერიდე ტვილდიანი, სიღმისეულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართვის შესახებ „აზრი ორად იყოფა. ტრადიციების მიმდევარი ადამიანები ამბობენ, რომ კონფლიქტი ოჯახში უნდა დარჩეს.. ნაწილი მსხვერპლის გადაწყვეტილებას, მიმართოს პოლიციას ძალიან ჯანსაღად და სწორად აფასებს. თუმცა, სამწუხაროდ, აზრი ორად ნამდვილად იყოფა. ხშირ შემთხვევაში, აზრთა სხვადასხვაობა ასაკობრივ სხვაობაშია ხოლმე. უფრო ასაკოვანი ადამიანები ნაკლებად არიან მომხრე სამართალდამცავი ირგანოების ჩარევის, უფრო ახალგაზრდა თაობაში სხვანაირად აზროვნებენ“.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ქალმა უნდა მიმართოს კრიზისულ ცენტრს. ხარაგაულსა და ქედაში, ასე ფიქრობს გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი, ზუგდიდსა და ბოლნისში 79%, ხოლო ხაშურში უკლებლივ ყველა რესპონდენტი.



გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ქალმა დახმარება უნდა სთხოვოს მშობლებსა და ნათესავებს სიტუაციის რეგულირებისათვის. ქედასა და ხარაგაულში ასე თვლის გამოკითხულთა 60%-ზე მეტი, ბოლნისსა და ზუგდიდში 80%-ზე მეტი, ხაშურში 90%.



სამიზნე მუნიციპალიტეტებში საკმაოდ მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც თვლიან, რომ არა მხოლოდ სუსტი ქალები ხდებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები. ხარაგაულში, ასევ ფიქრობს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, ბოლნისში 69%, ზუგდიდსა და ხაშურში 70-73%. განსხვავებული სურათი გვაქვს ქედაში, სადაც რესპონდენტთა 2/3 ფიქრობს, რომ მხოლოდ სუსტი ქალები ხდებიან ძალადობის მსხვერპლები. შესაბამისად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი არ თვლის ძალადობას, კონკრეტული ქალის ინდივიდუალურ პრობლემად, რომელიც მხოლოდ სუსტ ქალებს შეიძლება ჰქონდეს.



ქალი უფრო დაცულია ძალადობისაგან, თუ საკუთარი შემოსავალი აქვს, ასე ფიქრობს სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა ჯამური რაოდენობის ორი მესამედი.

ბოლნისსა და ქედაში ასე მიაჩნია გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარს, ხარაგაულში 62%-ს, ზუგდიდში 80%-ს, ხოლო ხაშურში უკლებლივ ყველა რესპონდენტს.



<u>სხვადასხვა სოციალური და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობის ეფექტურობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში</u>

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტებს ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ყველაზე ეფექტურად ოჯახის წევრების ჩართულობა მიაჩნიათ. ხუთივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 90% თვლის, რომ ოჯახის წევრების ჩართულობა ეფექტურია. მუნიციპალიტეტების მიხედვით, ეს მაჩვენებლები თანაბრად მაღალია, და 79%-დან 100%-მდე მერყეობს.



კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში **სამეზობლოს ჩართულობა** ყველაზე ნაკლებ ეფექტურია, კერძოდ, ხუთივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 18% ფიქრობს, რომ სამეზობლოს ჩართულობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ეფექტურია, მაშინ როცა გამოკითხულთა 75% თვლის, რომ სამეზობლოს ჩართულობა არ არის ეფექტური. სამეზობლოს ჩართულობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში განსაკუთრებულად არაეფექტურად მიიჩნიეს ქედასა (2%) და ხაშურში (5%) და ხარაგაულში (13%) გამოკითხულებმა. ბოლნისში დაახლოებით მესამედს მიაჩნია, რომ სამეზობლოს ჩართულობა ოჯახში ძალადობის ქეისებში ეფექტურია, ხოლო ზუგდიდში გამოკითხულთა საკმაოდ დიდმა წილმა, კერძოდ 45%-მა მიიჩნია სამეზობლოს ჩართულობა ეფექტურად.



ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში **პოლიციის ჩართულობა** ეფექტურად მიაჩნია, სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, პოლიციის ჩარევა ყველაზე ნაკლებეფექტურად მიიჩნიეს ქედის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულებმა, კერძოდ, მხოლოდ მეოთხედი (25%) თვლის, რომ პოლიციის ჩართულობა ეფექტურია. ბოლნისსა და ხარაგაულში ოჯახში ძალადობის შემთხვევებში პოლიციის ჩართულობა, ეფექტურად მიიჩნია, გამოკითხულთა 40%-ზე მეტმა, ზუგდიდში 56%-მა, ხოლო ხაშურში გამოკითხულთა 88%-მა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა საკმაოდ დიდ რაოდენობას გაუჭირდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, კერძოდ, ხუთივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა დაახლოებით მესამედმა უპასუხა, რომ არ იცის პოლიციის ჩართულობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ეფექტურია თუ არა. ხარაგაულში გამოკითხულთა შორის, ასეთი რეპონდენტების რიცხვი 40%-ზე მეტს შეადგენდა, ქედაში კი ნახევარზე მეტს.

სასურველია, შსს-მ წარმართოს საინფორმაციო სამუშაო, ფართო საზოგადოების ინფორმირებისათვის, ოჯახში ძალადობის შემთხვევების რეგულირებაში პოლიციის როლის შესახებ.



ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, სოციალური სამსახურის ჩარევა ყველაზე ნაკლებეფექტურად მიიჩნიეს ქედის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულებმა, კერძოდ, მხოლოდ მეოთხედი (25%) თვლის, რომ სოციალური სამსახურების ჩართულობა ეფექტურია, ხოლო რესპონდენტთა ნახევარი ფიქრობს, რომ სოციალური სამსახურების ჩართულობა არ არის ეფექტური. ხარაგაულში ოჯახში ძალადობის შემთხვევებში სოციალური სამსახურის ჩართულობა, ეფექტურად მიიჩნია, გამოკითხულთა 47%-ზე მეტმა, ბოლნისში 57%, ხაშურში 68%-მა, ხოლო ზუგდიდში გამოკითხულთა 80%-მა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა, რესპონდენტთა საკმაოდ დიდ რაოდენობას

გაუჭირდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, კერძოდ, ხუთივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედმა (25%-მა) უპასუხა, რომ არ იცის სოციალური სამსახურის ჩართულობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ეფექტურია თუ არა. ასეთი რესპონდენტების რიცხვი ხაშურში, ბოლნისსა და ქედაში 20-30%-ს შორის იყო, ხოლო ხარაგაულში 40%-ზე ზემოთ.

სასურველია, წარიმართოს საინფორმაციო სამუშაო, ფართო საზოგადოების ინფორმირებისათვის, ოჯახში ძალადობის შემთხვევების რეგულირებაში სოციალური სამსახურის როლის შესახებ.



ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში **ქალთა კრიზისული ცენტრის ჩართვა** ეფექტურად მიაჩნია სამიზნე მუნიციპალიტეებში გამოკითხულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით ნახევარს.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, ქალთა კრიზისული ცენტრის ჩართულობა ყველაზე ნაკლებეფექტურად მიიჩნიეს ქედისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულებმა.

ბოლნისში ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ქალთა კრიზისული ცენტრის ჩართულობა, ეფექტურად მიიჩნია, გამოკითხულთა 55%-ზე მეტმა, ზუგდიდში 73%-მა, ხოლო ხაშურში გამოკითხულთა 98%-მა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პოლიციისა და სოციალური სამსახურის შემთხვევებში, რესპონდენტთა საკმაოდ დიდ რაოდენობას გაუჭირდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, კერძოდ, ხუთივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 27%-მა უპასუხა, რომ არ იცის კრიზისული ცენტრის ჩართულობა ეფექტურია თუ არა.



ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში **მუნიციპალიტეტის ჩართულობა** ეფექტურად მიაჩნია, გამოკითხულთა არც თუ ისე დიდმა რაოდენობამ, კერძოდ, ხარაგაულში 15%-მა, ქედაში - 17%-მა, ბოლნისში 19%-მა, ზუგდიდში 20%-მა, ხოლო ხაშურში 34%-მა.

საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა საკმაოდ დიდ რაოდენობას გაუჭირდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ხაშურში გამოკითხულთა შორისაც კი, სადაც რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა (34%-მა), მუნიციპალიტეტის ჩართულობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ეფექტურად მიიჩნია, ასევე ყველაზე მაღალი იყო იმ რესპონდენტთა წილი (59%), რომელმაც განაცხადა, რომ არ იცის მუნიციპალიტეტის ჩართულობა ეფექტურია თუ არა.

სასურველია, მუნიციპალიტეტმა შეიმუშავოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე კომუნიკაციის სტრატეგია, და კერძოდ, უკეთ გააცნოს საზოგადოებას, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული მუნიციპალური პროგრამები.



სიღმისეული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მუნიციპალიტეტებს, გარკვეული პოლიტიკა ჩამოუყალიბდათ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

ბოლნისში მოქმედებს კრიზისული ცენტრი, მუნიციპალიტეტს აქვს მსხვერპლის ბინის ქირით უზრუნველყოფისა და ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამები.

გოგი რევია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი, ინტერვიუში აღნიშნავს, „ჩვენ გვაქვს ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, რომელსაც ვიღებთ კრიზისული ცენტრიდან, თავშესაფრიდან და სოციალური პროგრამებიდან. ამ სამივე მონაცემს ვაჯამებთ. წლის მანძილზე ზუგდიდში იყო 140 პირი, ვინც ისარგებლა ამ სერვისებით. ეს არ არის სრული რიცხვი. პოლიციიდანაც ვიღებთ ინფორმაციას, არიან პირები, რომელთაც მიმართეს პოლიციას, მიიღეს მსხვერპლის სტატუსი, მაგრამ მუნიციპალიტეტისათვის არ მიუკითხიათ. პოლიციაში 30 პირით მეტი იყო აღრიცხული, ე.ი. ჯამში გამოდის დაახლოებით 170 პირი. ზუგდიდში არის მუნიციპალური კრიზისული ცენტრი, ასევე თავშესაფარი, არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე არსებული თავშესაფარი, რომელსაც მუნიციპალიტეტი აფინანსებს. გვაქვს ერთჯერადი დახმარება მსხვერპლებისათვის, ასევე მათ შეუძლიათ მიიღონ დახმარებები სოციალური პროგრამის ფარგლებში. ჩვენ პირველი მუნიციპალიტეტი ვიყავით, რომელსაც მსხვერპლებისათვის ბინის ქირის პროგრამა ჰქონდა, ჯერ კიდევ 2015 წლიდან.“

უწყებათშორის თანამშრომლობის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა: „მიმართვიანობა გაზრდილია, ხაშურის პოლიციაც აქტიურად მუშაობს... გენდერულ საბჭოში ჩვენ გვყვავს ქალბატონი, რომელიც მუშაობს ხაშურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონულ განყოფილებაში და რომელიც უშუალოდ ამ საქმეს კურირებს, ის ძალიან აქტიურია... ხაშურში სოციალური მუშაკების არაჩვეულებრივი ჯგუფია, ისინი წარმოდგენილი არიან გენდერულ საბჭოში...

მუნიციპალიტეტს აქვს მსხვერპლისათვის ბინის ქირის დაფინანსების პროგრამა. კრიზისული ცენტრები არსებობს, მაგრამ საჭიროა, სოციალური რეგილიტაციის ცენტრის შექმნა. ამისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებაა საჭირო. **ჩემი აზრით, რეაბილიტაციის ცენტრი აუცილებელზე აუცილებელია, ყველა მუნიციპალიტეტს უნდა ქონდეს ქალთა რეაბილიტაციის ცენტრი**".

სიღრმისეულ ინტერვიუებში აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში უწყებათაშორისო საბჭოს არსებობა, ძალადობის საკითხებზე მომუშავე სხვადასახვა ჩართულ მხარეებს შორის მაღალი ხარისხის თანამშრომლობის შესაძლებლობას იძლევა.

გოგი რევია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - ზუგდიდის მერიის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი, ზუგდიდის მაგალითზე აღნიშნავს: „ზუგდიდში მოქმედებს უწყებათაშორისი საბჭო, სადაც ყველა სამსახურია თავმოყრილი, რომელსაც ძალადობასთან შეხება აქვს, პოლიციის თანამშრომელიც არის საბჭოში წარმოდგენილი. პირველად, როდესაც პოლიციას მიმართავენ და დგება ორდერები, იქვე განემარტება მსხვერპლს, რომ შეუძლია მიმართოს სოციალურ სამსახურს და მიიღოს სერვისები. რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. კომისია ძალიან მაღალი ხარისხის თანამშრომლობა გვაქვს".

საოჯახო ურთიერთობები და სტერეოტიპები შრომის გენდერული განაწილების შესახებ

საოჯახო შრომის გენდერული გადანაწილების შესახებ კითხვების ფორმულირებისას, ვიხელმძღვანელეთ თანამედროვე და ტრადიციული მშობლობის მოდელების კონცეფციით.

- **ტრადიციულ შემავსებელ მშობლობის** მოდელში ქალისა და კაცის საქმე მკვეთრად არის გადანაწილებული, მამა ოჯახის მარჩენალია, დედა ძირითადად დიასახლისი.
- **თანამედროვე სიმეტრიულ, გადანაწილებული მშობლობის მოდელში** დედაც და მამაც მომუშავეა და ოჯახის მარჩენალი, დედაც და მამაც ბავშვებზე მზრუნველია.

ოჯახის თანამედროვე სიმეტრიული მოდელის მომხრეა სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა, კერძოდ 82% ეთანხმება დებულებას, რომ „უმჯობესია, ქალიცა და კაციც გამოიმუშავებდეს ფულს, და ქალიცა და კაციც უვლიდეს ოჯახს". ქალსა და კაცს შორის შრომის ტრადიციული განაწილების მომხრეა, გამოკითხულთა 18%, რომელიც მიიჩნევს, რომ უმჯობესია ქალი ოჯახს უვლიდეს, ხოლო კაცი ფულს გამოიმუშავებდეს.



სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტი მამაკაცი ხაზს უსვამს, იმ გარემოებას, რომ მნიშველოვანია ქალსაც ჰქონდეს შემოსავალი, თუმცა დასძენს: „არ მინდა რომ მაგალითად ქალბატონი ტრაქტორისტად მუშაობდეს, ჩემი ახლობელი ქალბატონი. რატომ? ქალი შედარებით მაინც სათნო არსებაა, თუმცა კაცზე მეტი აქვს ნებისყოფა“.

პასუხები კითხვაზე - თქვენს გარშემო ქალსა და კაცს შორის შრომის განაწლების რა მოდელებს ხვდებით - შემდეგნაირად გადანაწილდა: სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი, 47% თვლის, რომ თავის გარშემო უფრო ხშირად ხვდება ოჯახის ტრადიციულ მოდელს, როდესაც ქალი ოჯახს უვლის, ხოლო კაცი ფულს გამოიმუშავებს. გამოკითხულთა 44% აღნიშნავს, რომ თავის გარშემო, უფრო მეტად ხვდება სიმეტრიული მოდელის ოჯახებს, კერძოდ, ქალიცა და კაციც გამოიმუშავებს ფულს, და ქალიცა და კაციც უვლის ოჯახს. გამოკითხულთა 7% მიიჩნევს, რომ მის გარშემო უმეტესწილად, ისეთი ოჯახებია, სადაც ფულს ქალი გამოიმუშავებს, ხოლო ოჯახს კაცი უვლის. ხოლო გამოკითხულთა 2%-ის აზრით, მათ გარშემო ძირითადად ისეთი ოჯახებია, სადაც ქალი გამოიმუშავებს ფულს და ოჯახსაც ქალი უვლის.



სტერეოტიპი, რომ საოჯახო საქმეების შესრულება ქალის პასუხისმგებლობაა კვლავ მყარია. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა, კერძოდ 82% ოჯახის სიმეტრიული მოდელის მომხრე იყო და ეთანხმებოდა დებულებას, „ქალიცა და კაციც უნდა გამოიმუშავებდეს ფულს, ქალიცა და კაციც უნდა უვლიდეს ოჯახს“, პასუხებით, უფრო დეტალურ კითხვაზე თუ ვინ უნდა ასრულებდეს კონკრეტული რეპორდუქტიული შრომის სახეებს, შემდეგი სურათი გამოიკვეთა: სახლი უმეტესწილად ქალმა უნდა დაალაგოს, ასე მიიჩნია რესპონდენტების 72%-მა, საჭმელი უმეტესწილად ქალმა უნდა გააკეთოს, ასე თვლის გამოკითხულთა 64%, ხოლო 83%-ის აზრით, სარეცხი, უმეტესწილად ქალმა უნდა გარეცხოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი რესპონდენტი არ დაეთანხმა დებულებას, რომ ჩამოთვლილი საქმიანობები უმეტესწილად კაცმა უნდა შეასრულოს.

შედარებით, განსხვავებულია რესპოდენტთა გადანაწილება ზოგადი ფორმულირების შემთხვევაში: „ვინ უნდა მოუაროს ბავშვებს“. გამოკითხულთა შედარებით ნაკლები რაოდენობა, კერძოდ 44% თვლის, რომ ბავშვებს უმეტესწილად დედამ უნდა მოუაროს, ხოლო 66% მიიჩნევს, რომ ბავშვებს დედამ და მამამ თანაბრად უნდა მოუაროს.

სიღრმისეულ ინტერვიუებშიც გამოჩნდა, რომ ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმეების განაწილებისას შეიმჩნევა გარკვეული ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ზოგი რეპოდუქტიული საქმიანობა კაცისათვის უფრო მისაღებია, ზოგიც ნაკლებად მისაღები. სახლის საქმეებიდან კაცისათვის უფრო მისაღებად გამოიკვეთა:; ბაზარსა და მარკეტში წასვლა და პროდუქტების მოტანა, ბავშვის ბაღში წაყვანა, თავისუფალ დროს ბავშვის

გასეირნება, გარკვეულ შემთხვევებში, საჭმლის მომზადება. კაცისათვის ნაკლებად მისაღებ საქმიანობებად გამოიკვეთა სახლის დალაგება და სარეცხვის გარეცხვა.

ხაშურის მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა, ნინო სუხიაშვილმა ინტერვიუს დროს აღნიშნა: „სტერეოტიპი, რომ ქალი არ უნდა იყოს დასაქმებული, ძალიან შესუსტებულია. რაც შეეხება სამსახურის შემდეგ, სახლში შრომის განაწილებას, აქ ვერ გვაქვს კარგად საქმე. ქალებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ საოჯახო საქმეზე, ვიდრე მამაკაცებს... საოჯახო საქმიანობებზეც არის სტერეოტიპული შეხედულება, არსებობს ეგრეთწოდებული ქალის საქმე და ეგრეთწოდებული მამაკაცის საქმე. ვიღაცამ შეშა უნდა დაჩეხოს, ასეთი საქმეები უფრო და უფრო ცოტაა. ვიღაცამ სარეცხი უნდა დარეცხოს, ეს ჩათვლილია მსუბუქ საქმედ, მაგრამ ყიველდღიურია, შესაბამისად, ქალი მეტად არის დაკავებული და მიჯაჭვული საოჯახო საქმეზე. გენდერული კვირეულის დროს, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ საკითხებზე დიდი კამათი წარიმართა“.



გამოკითხვა აჩვენებს, რომ **რეალურად ზრუნვის შრომის უმეტესი ტვირთი ქალს აწევს მხრებზე და საოჯახო საქმეების უდიდეს ნაწილს ქალები ასრულებენ.** კითხვაზე: თქვენს გარშემო, რეალურად ვინ ასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებს გამოკითხულთაგან შემდეგი პასუხები მივიღეთ: სახლს უმეტესწილად ქალები ალაგებენ (89%), საჭმელს უმეტესწილად ქალები აკეთებენ (86%), სარეცხს უმეტესწილად ქალები რეცხავენ (95%), ბავშვებს უმეტესწილად ქალები უვლიან (69%).



სიღმისეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ როდესაც ქალი შრომით მიგრაციაშია, კაცები მაშინაც კი, არ იღებენ ბავშვებზე ძირითადი მზრუნველის პასუხისმგებლობას და ამ მოვალეობას ბავშვების ბებია ან დეიდა/მამიდა ასრულებს.

თეა შარაშიძე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ქედის მუნიციპალიტეტში, ინტერვიუში აღნიშნავს: „ქალები ემიგრაციაში არიან წასული, ქედიდან ძირითადად, თურქეთში და იტალიაში... ქალის გამოგზავნილი თანხით მამაკაცი სრულიად კომფორტულად გრძნობს თავს, თავისი კომფორტის ზონა აქვს შექმნილი. მაგრამ, აი ბავშვის მოვლაში ძირითადად, მაინც ბავშვის დეიდები, ბებიები არიან ჩართული, ვიდრე ბავშვის მამა.“

<u>გენდერული სტერეოტიპები ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების შესახებ</u>

გამოკითხულთა ნახევარი (52%) მიიჩნევს, რომ ქორწინებამდე სექსუალური კავშირის ქონა არცერთი სქესისათვის არ არის დასაშვები, რესპონდენტთა 7% ეთანხმება დებულებას, რომ „როგორც ვაჟისათვის, ისე ქალისთვის დასაშვებია ქორწინებამდე სექსუალური კავშირის ქონა“. ვაჟისათვის ქორწინებამდე სექსუალური კავშირის ქონას დასაშვებად მიიჩნევს, გამოკითხულთა 41%, მაშინ როდესაც რესპონდენტთაგან არავინ დაეთანხმა დებულებას „ქორწინებამდე სექსუალური კავშირი ქალისათვის დასაშვებია.“



სიღრმისეულ ინტერვიუებში აღინიშნა, რომ მათ მუნიციპალიტეტებში არ არის მიღებული, ქორწინებამდე წყვილის ერთად ცხოვრება.

ძლიერია სტერეოტიპი, რომ სასიყვარულო ურთიერთობებში ვაჟი უნდა იყოს უფრო აქტიური. სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას, კერძოდ, 68%-ს მიაჩნია, რომ სიყვარული კაცმა უნდა აუხსნას ქალს, მხოლოდ 2% მიიჩნია, რომ სიყვარული ქალმა უნდა აუხსნას კაცს, დაახლოებით მესამედი თვლის, რომ გრძნობების გამომჟღავნების შემთხვევაში სქესს მნიშვნელობა არა აქვს.



რესპონდენტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან „ახლაც და ადრე უფრო, კაცები აქტიურობდნენ და გამოუტყდებოდნენ სიყვარულში. გოგონა იყო მაინც მორიდებული. როგორ შეიძლება რომ გოგონა გამოუტყდეს, რას იტყვიან მერე და რას იფიქრებენ“.

რესპონდენტი ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნავს: „ბიჭისათვის, თუ გოგონას არ მოსწონს და არ უნდა მასთან ურთიერთობა, დაშვებული და მისაღებია, თუ ძალიან იაქტიურებს, პირიქით იტყვიან მებრძოლიაო. თუ გოგომ ისეთი ბიჭი შეიყვარა, რომელსაც არ უყვარს... ანალოგიურ სიტუაციაში, გოგო ძალიან იკიცხება“.

დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისადმი

ხუთ სამიზნე მუნიციპალიტეტში **დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისადმი საკმაოდ პოზიტიურია.** რესპონდენტთა 23% თვლის, რომ კაცი უკეთესი პოლიტიკოსია, ვიდრე ქალი, რესპონდენტთა 10%-ს მიაჩნია, რომ ქალია უკეთესი პოლიტიკოსი, ვიდრე კაცი, გამოკითხულთა უმრავლესობის (67%) აზრით კი, ქალსა და კაცს თანაბარი უნარები აქვთ, რომ გახდნენ კარგი პოლიტიკოსები.



სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ 75% ფიქრობს, რომ ქალი და კაცი პოლიტიკოსები თანაბრად აქტიურად ურთიერთობენ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

რეპონდენტთა 14% მიიჩნევს, რომ კაცი პოლიტიკოსები მეტად ურთიერთობენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხოლო 11% თვლის, რომ ქალი პოლიტიკოსები უფრო აქტიურად წარმართავენ მოსახლეობასთან ურთოერთობას. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის

მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 35% მიიჩნევს, რომ ქალი პოლიტიკოსები უფრო აქტიურად ურთიერთობენ მოსახლეობასთან.



სიღრმისეული ინტერვიუებიდან, ჩანს მოსაზრება, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებად სადაც ქალები არიან, მოსახლეობასთან ურთიერთობა უფრო აქტიურად მიმდინარეობს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა სიღრმისეულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „სოფლის წარმომადგენელი გვყვავს სულ რამდენიმე ქალი, 50-ზე მეტიდან. ძალიან ცოტაა. ვინც არიან, ეს ქალები, ძალიან აქტიურები არიან. უფრო ოჯახებში მიდიან, ოჯახის, ბავშვის პრობლემები უფრო იციან, სოფლიდან მეტი პრობლემა მოაქვთ. ქალი როცაა, უფრო მეტ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას“.

გამოკითხულთა 50% ისურვებდა, რომ მისი ქალიშვილი მუნიციპალიტეტის საკრებულოში იყრიდეს კენჭს. საკუთარი ქალიშვილის პარტიულ პოლიტიკაში ჩართულობის მომხრეთა რიცხვი შედარებით ნაკლებია: რესპონდენტთა 43% ისურვებდა, რომ მისი ქალიშვილი ხელისუფლებაში მყოფი პარტიის აქტიური წევრი იყოს და გამოკითხულთა მხოლოდ 13% ისურვებდა, რომ მისი ქალიშვილი ოპოზიციაში მყოფი პარტიის აქტიური წევრი იყოს.



რესპონდენტთა უმრავლესობას (79%-ს) მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, თუ მათ მუნიციპალიტეტში საკრებულოში ქალთა რაოდენობა გაიზრდება. რესპონდენტთა მხოლოდ 21%-ს მაიჩნია, რომ საკრებულოში ქალთა არსებული რაოდენობა საკმარისია.



რესპონდენტი მარიამ ლომიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტიდან, სიღმისეულ ინტერვიუში აღნიშნავს: „ნამდვილად უკეთესი პოლიტიკოსია ქალი. იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრ დეტალებს შეიძლება ჩაუღრმავდეს, ისეთ დეტალებს, რაც კაცი პოლიტიკოსისთვის საერთოდ თვალს მიღმაა და შეიძლება, მისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდეს. ამიტომ, ქალის პოლიტიკოსობა და აქედან გამომდინარე, მეტი ქალი პოლიტიკაში, ძალიან ბევრ რამეს შეცვლის“.

ბოლნისის საკრებულოს წევრი ფერიდე ტვილდიანი ინტერვიუში აღნიშნავს: „მე ვდიქრობ რომ ქალები უფრო მოქნილ დღის წესრიგს შექმნიან... ქალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ბევრად უფრო მორგებული იქნება ყველა ადამიანზე. ქალები ბევრად მონდომებულები არიან.. შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ ჯერ კიდევ გვჭირდება ქალებს იმის თქმა, რომ ჩვენ ისე შეგვიძლია ყველაფერი, როგორც კაცს და ხშირ შემთხვევაში, ამ მიდგომით, ქალები მონდომებით ბევრად ჯობიან ხოლმე კაცებს“.

ხუთ სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობა, არ არის წინააღმდეგი, რომ მუნიციპალიტეტის მერის პოსტზე ქალი იხილოს. რესპონდენტთა 63%-ს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტის მერის პოზიციაზე ქალი და კაცი თანაბრად მისაღებია, ხოლო 17% მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტისთვის ქალი მერი სჯობს. რესპონდენტთა მხოლოდ 20% მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტისათვის კაცი მერი იქნება უმჯობესი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომელსაც მიაჩნია, რომ ქალი მერი სჯობს (38%), საკმაოდ მეტია იმ რესპონდენტთა რიცხვზე, რომლებიც ფიქრობენ რომ კაცი მერია უნჯობესი (8%),

სიღმისეული ინტერვიუებითაც ირკვევა, რომ საზოგადოება საკმაოდ პოზიტიურად არის განწყობილი მოსაზრებისადმი, რომ ქალმა დაიკავოს მერის პოსტი.



ერთ-ერთი რესპონდენტი ხაშურის მუნიციპალიტეტიდან, ფიქრობს, რომ „ქალის მერობის შემთხვევაში, შეიძლება გაიზარდოს ინკლუზია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ჩართულობა კი, ბიუჯეტის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე უკეთ მორგებას ითვალისწინებს“.

სიღრმისეული ინტერვიუს ერთ-ერთი რესპონდენტი ზუგდიდიდან ფიქრობს, „რამდენი წელია კაც მერებს ვუყურებთ და იქნებ ქალმა გაამართლოს“. ასეთივე აზრისაა, რესპონდენტი ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან, „ყოველ შემთხვევაში, ქალი მერი უფრო საინტერესოა. იმიტომ რომ ბევრი კაცი მერი გვყოლია და აბა ვნახოთ ქალები“. ზუგდიდელი რესპონდენტის განცხადებით, „უკვე დროა, რომ ქალი იყოს მერი ჩვენს მუნიციპალიტეტში“,

რესპონდენტი ქედის მუნიციპალიტეტიდან, აღნიშნავს, „ქალი მერი, გაცილებით, სენსიტიური იქნებოდა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, გაცილებით მეტი პროგრამები დაინერგებოდა ამ მიმართულებით... ასევე, საგანმანათლებლო კუთხით, თუნდაც სტიპენდიების დაწესება და ასე შემდეგ. თუნდაც ბაღების მიმართულებით, ვფიქრობ რო დაამატებდა ბაღის წრეს, ზაფხულში, ბაღები იკეტება და მომუშავე მშობლებმა, არ იციან ბავშვები სად წავიყვანონ“.